# ხელშეკრულება №300/1

## წიგნების მიწოდების შესახებ

ერთის მხრივ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ელვა.ჯი" (შემდგომში ,,მიმწოდებლად" წოდებული, მისი დირექტორის ნიკო კბილაძის სახით, მეორეს მხრივ აკაკი წერეთლის სახელობის 1 საჯარო სკოლა შემდგომში ,,დამკვეთად" წოდებული მისი დირექტორის თამაზ თორდიას სახით, თანხმდებიან შემდეგზე.

1.1 ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ წიგნების გამოცემათა მიწოდება

1.2. ხელშეკრულება ძალაშია 3.10.2011-დან 18.10.2011.-მდე

1.3. მიმწოდებელი შეკვეთილ პროდუქციას აბარებს შემდეგ მისამართზე: ზუგდიდი შეფუთულს ისე, რომ იგი დაცული იყოს დაზიანებისაგან.

## ანგარიშსწორება

2.1. ანგარიშსწორება უნდა მოხდეს წინასწარ და დამკვეთი ვალდებულია მომსახურების მთლიანი თანხა გადაიხადოს ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 15 დღისა.. ანაზღაურების მთლიანი თანხა მიმწოდებლის სასარგებლოდ შეადგენს 73,90 ლარს.

## პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მეორე მხარის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად და ან არაჯეროვნად შესრულებაზე. იმ ვალდებულებებზე, რომლებიც ეხება თანხების გადახდას მეორე მხარის სასარგებლოდ, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.3%-ის ოდენობით. მხარეები თავისუფლდებიან მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან, თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით. მიმწოდებელი აგრეთვე თავისუფლდება მის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შესრულებისაგან, თუ ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში რომელიმე გამოცემა შეწყდა ან შეფერხდა.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში მოხდა რომელიმე გამოცემის საცალო ფასის ზრდა ან კლება, მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთ ორგანიზაციას, რომელსაც საკუთარი შეხედულებისამებრ უფლება აქვს:

ა) შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მის მიერ გადახდილი თანხის ის ნაწილი, რომელიც ამ დღიდან ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ეკუთვნის.

ბ) გადაიხადოს ან მიიღოს განსხვავება ძველ და ახალ საცალო ფასებს შორის დღიდან ფასის შეცვლისა ხელშეკრულების ვადის გასვლამდე. ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს დამკვეთს გამოცემა მთელი სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში.

## ხელშეკრულების მოქმედება

ეს ხელშეკრულება ძალაშია 1.2 პუნქტში მითითებული დღიდან 15 დღის განმავლობაში.

ხელშეკრულებაშედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია.

ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

1. მხარეთა შეთანხმებით.
2. მოქმედების ვადის გასვლის გამო.

შ.პ.ს. ,,ელვა.ჯი"

ქ. თბილისი იოსებიძის 49

,,საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი

აა GE17BG0000000887421300 კოდი 404882953

დირექტორი: ნ. კბილაძე

215585746
GE81LB0121121188628000